უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 3 23 0000662810

08/06/2023

„შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 იანვრის №47821 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზებს გასწორების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

გადაწყვიტა:

1. გასწორდეს „შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 იანვრის №47821 გადაწყვეტილება დაშვებული ტექნიკური ხარვეზები:
1.1. 2023 წლის 18 იანვრის №47821 გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაზე დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ“;
1.2 2023 წლის 18 იანვრის №47821 გადაწყვეტილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:“უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 26-ე პუნქტის შესაბამისად,“;

1.3 2023 წლის 18 იანვრის №47821 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის (ს/კ: 204876991) ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებას განესაზღვროს დამატებითი ვადა და 6 თვის თავზე განხორციელდეს მონიტორინგი დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების მიზნით. “

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 ივნისის №662724 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მეორე შესახვევი, №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა